ხელშეკრულება N2101/02

გამარტივებული შესყიდვა, მონეტარული ზღვრების დაცვით
საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, მე-3 მუხლის 1 პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის შესაბამისად.

CPV 51100000

ქ. თბილისი **21 იანვარი 2019 წ.**

შემსყიდველი - **შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“** , წარმოდგენილი მისი დირექტორის **ალექსი ზანდარაშვილის** სახით;
საიდენტიფიკაციო კოდი: 404 482 537
მისამართი: იურიდიული: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. #12, ფაქტიური: ქ. თბილისი, პეკინის 41;
ტელეფონი: 2 200 122
საბანკო რეკვიზიტები: სს „თი ბი სი ბანკი“, ბანკის კოდი - TBCBGE22, ა/ა GE58TB 7353 4360 8010 0004

მიმწოდებელი - **ფ/პ შოთა ბოცვაძე**;
საიდენტიფიკაციო კოდი: 37001004570;
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, დიდი დიღომი, მე-3 მკ.რ, კორპუსი N15, ბინა N100
ტელეფონი: 593 05 77 05
საბანკო რეკვიზიტები: სს „თი ბი სი ბანკი“, ბანკის კოდი - TBCBGE22, ა/ა GE 25 TB 7967 6450 6160 0006

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების თანახმად, “მიმწოდებელი” კისრულობს ვალდებულებას უზრუნველყოს “შემსყიდველის” მიერ წარმოდგენილ ობიექტზე **კონდიციონერის დემონტაჟი/მონტაჟის მომსახურების (შემდგომში - მომსახურება) გაწევა**, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, პეკინის ქ.N 41 (დემონტაჟი) თემქა, მე-9 კვარტალი (მონტაჟი).
1.2. მომსახურება მიიჩნევა შესრულებულად მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის შემდეგ.
1.3. „შემსყიდველის” მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება დირექტორის მიერ გამოყოფილ შესაბამის უფლებამოსილ პირს.

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1. „მიმწოდებელი” ვალდებულია:
ა) მომსახურება შეასრულოს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და კეთილსინდისიერად;
ბ) მომსახურება შეასრულოს ამგვარი მომსახურების შესაბამისი ხარისხით და წესით;
გ) მიიღოს “შემსყიდველის” მოტივირებული შენიშვნები და უზრუნველყოს მათი გამოსწორება;
დ) “შემსყიდველის” მოთხოვნით უსასყიდლოდ 2 (ორი) დღის ვადაში გამოასწოროს ყველა აღმოჩენილი ნაკლი, თუ მომსახურების გაწევის პროცესში “მიმწოდებელმა” დაუშვა ხელშეკრულების პირობებიდან გადახვევა, რამაც გამოიწვია მომსახურების ხარისხის დაქვეითება;
2.2. “შემსყიდველი” ვალდებულია:
2.2.1. გადაუხადოს “მიმწოდებელს” შეთანხმებული მომსახურების ღირებულება;
2.2.2. თავისი მიზეზით არ შეაფერხოს “მიმწოდებელის” მიერ მომსახურების შესრულება;
2.3. დემკვეთს უფლება აქვს:
2.3.1. ნებისმიერ დროს შეამოწმოს “მიმწოდებლის” მიერ შესასრულებელი მომსახურების მსვლელობა და ხარისხი, “მიმწოდებელის” საქმიანობაში ჩარევის გარეშე.
2.3.2. მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე ნებისმიერ დროს უარი თქვას ხელშეკრულების შესრულებაზე და გადაუხადოს “მიმწოდებელს” დადგენილი ფასის ნაწილი იმ მომსახურების პროპორციულად, რომელიც შესრულდა ხელშეკრულების შესრულებაზე შემკვეთის მიერ უარის თქმის შესახებ შეტყობინების მიღებამდე.
2.3.3. გადაიხადოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, მოსაკრებელი და სახდელი.

3. ხელშეკრულების ღირებულება და ანაზღაურების წესი

3.1. **ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 170 (ას სამოცდაათი) ლარს.**
3.2. ამ ხელშეკრულების 3.1. პუნქტში მითითებული ღირებულება მოიცავს „მიმწოდებლის” ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს მომსახურების გაწევისათვის საჭირო აქსესუარების შესყიდვასთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მომსახურების გაწევასთან.

3.3. შესრულებულ მომსახურებაზე ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად, ეროვნულ ვალუტაში (ლარში).

3.4. ანგარიშსწორება მოხდება შემდეგი წესით: შემსყიდველი მიმწოდებელს გადაუხდის გაწეული მომსახურების ღირებულებას სრულად, მომსახურების ფაქტობრივად შესრულებიდან და შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

3.5. მიწოდებული საქონლის ღირებულების და ოდენობის სადაოდ გახდომის შემთხვევაში, ძირითად საანგარიშო დოკუმენტს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულება, „შემსყიდველის“ და „მიმწოდებელის“ ან მათი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი სასაქონლო ზედნადები ან/და საგადასახადო ა/ფაქტურა ან/და მიღება-ჩაბარების აქტი და გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები.

4. ხელშეკრულების ვადები

4.1. **ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.**

4.2. “მიმწოდებლის” მიერ მომსახურების დასრულება ფორმდება მხარეთა ხელმოწერებით დადასტურებული მიღება-ჩაბარების აქტით.

4.3. ხელშეკრულება ერთ-ერთი მხარის წერილობითი განცხადებით შეიძლება შეწყდეს ვადამდე შემდეგ შემთხვევებში:
(ა) მხარეთა შეთანხმებით ნებისმიერ დროს; (ბ) ერთ-ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე აღნიშნულის თაობაზე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემთხვევაში; (გ) “შემსყიდველმა” შეწყვიტა, ან შეაჩერა თავისი საქმიანობა; (დ) “მიმწოდებელმა” შეწყვიტა, ან შეაჩერა თავისი საქმიანობა; (ე) მიმდინარეობს “შემსყიდველის” ან “მიმწოდებელის” გადახდისუუნარობის საქმის წარმოება; (ვ) “მიმწოდებელი” სისტემატურად არღვევს თავის მოვალეობებს; (ზ) `შემსყიდველმა” ანგარიშსწორების განხორციელების ვადას გადააცილა 15 (თხუთმეტი) დღეზე მეტი ვადით; ხელშეკრულება ვადამდე შეწყვეტილად ითვლება მეორე მხარისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ წერილობითი მოთხოვნის გადაცემიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის გასვლის შემდეგ.

5. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

5.1. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი, მიმწოდებელს არ გადაუხდის მიწოდებული მომსახურების ღირებულებას ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში და ასეთი გადაუხდელობა გრძელდება მიმწოდებლის მიერ აღნიშნულის თაობაზე წერილობითი შეტყობინების გაგზავნიდან 10 (ათი) სამუშო დღეზე მეტი ვადით, მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს გადასახდელი ძირითადი თანხის 0.02% ყოველი ვადაგადაცილებული დღეზე.

5.2. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი არ განახორციელებს მომსახურების გაწევას ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 0.02%-ის ოდენობით მაგრამ არანაკლებ 10 (ათი) ლარი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.3. თუ მომსახურების გაწევის შემდეგ, არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა აღმოჩნდება, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი არ შეესაბამება არსებულ სტანდარტებსა და მხარეთა შორის შეთანხმებულ პირობებს, „შემსყიდველი” უფლებამოსილია „შემსყიდველის” ლოჯისტიკის დეპარტამენტის ტექნიკური ზედამხედველის წერილობითი მოხსენების გათვალისწინებით ან/და ფინანსური აღრიცხვისა და სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის თანამშრომლის მიერ შედგენილი მოხსენებითი ბარათის, საფუძველზე დოკუმენტის შედგენიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღისა „მიმწოდებელს” წარუდგინოს რეკლამაცია (პრეტენზია) წერილობითი ფორმით ან/და ელ- ფოსტის მეშვეობით და დააკისროს პირგასამტეხლო 50.00 (ორმოცდაატი) ლარის ოდენობით. ასეთი ფაქტის ყოველი განმეორების შემთხევავში “შემსყიდველი” უფლებამოსილია დაარიცხოს “მიმწოდებელ”-ს პირგასამტეხლო 100.00 (ასი) ლარის ოდენობით.

5.4. თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის პირობებს ვერ შეასრულებს ან/და დაარღვევს კეთილსინდისიერების პრინციპს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მიმწოდებელს ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის/შეუსრულებლობისთვის დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

5.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესარულებისგან.

6. სხვა პირობები

6.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევისათვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ვალდებულებათა შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით მიყენებული ზიანის ოდენობის შესაბამისად.

6.2. მხარეებს შეუძლიათ ხელშეკრულებაში შეიტანონ ცვლილებები და დამატებები, რომლებიც უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერის შემდეგ ხდება წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და მოქმედებს მასთან ერთად.

6.3. ხელშეკრულების რომელიმე მუხლის, პუნქტის ან/და ქვეპუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად

ხელშეკრულების ან/და მისი სხვა ცალკეული მუხლის, პუნქტის ან/და ქვეპუნქტის ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ხელშეკრულებით (მათ შორის ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

6.4. "მიმწოდებელი" აცხადებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი მონაცემები, მათ შორის მისი რეკვიზიტები, სწორია.

6.5. მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მხარეთა ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა ხელშეკრულების შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.

6.6. მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან ფორს-მაჟორული გარემოებების წარმოშობის შემთხვევაში, რაც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ; ამ გარემოებების ლიკვიდაციისთანავე მხარეები ვალდებულნი არიან შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები.

6.7. ყოველი მხარე წერილობით ატყობინებს მეორე მხარეს იმ გარემოებების შესახებ, რომელთაც შეუძლიათ იქონიონ გავლენა მხარის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულებაზე: რეორგანიზაცია, რეკვიზიტების შეცვლა, გადახდისუუნარობა ან გადახდისუუნარობის ალბათობა, ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვა და სხვა. მხარე, რომელიც არ ატყობინებს ან არადროულად ატყობინებს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დამაბრკოლებელი გარემოებების შესახებ, ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს ამასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ზარალი.

6.8. ყველა ის საკითხი რომელიც არ არის რეგულირებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

6.9. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებით, შეუთანხმებლობის შემთხვევაში სასამართლოს მეშვეობით საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.10. ხელშეკრულება ფორმდება, ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან.

6.11. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელის მომწერი პირი, ასევე ხელშეკრულების ვიზირებაზე ხელისმომწერი პირები, ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში ხელშეკრულებაში მითითებულ მომწოდებელთან სახელმწიფო შესყიდვების კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად.

7. რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა"-ს	**ფ/პ**
დირექტორი	
ალექსი ზანდარაშვილი	შოთა ბოცვაძე

LTD STATE CATERING SERVICE

Digitally signed by LTD STATE CATERING SERVICE